

ბიულეტენი N8

იანვარი-მარტი
ახალციხე

2013წ.

ვზა წაიშაფეზისკუა!



www.civics.ge

www.Initiatives.ge

[www.facebook.com/ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი](https://www.facebook.com/ახალციხის_ახალგაზრდული_ცენტრი)

www.facebook.com/initiatives

პუბლიკაცია მომზადებული და გამოცემულია ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის „სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ამერიკული ორგანიზაცია PH International-ის მიერ - აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის მეორე საანგარიშო პერიოდის შემაჯამებელი ღონისძიება

22 იანვარს, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სხდომათა დარბაზში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, 2012 წლის ივლისი-დეკემბერის თვის პერიოდის საანგარიშო შეხვედრა ჩატარდა.

შემაჯამებელ ღონისძიებას ესწრებოდა პროგრამაში მონაწილე სამცხე-ჯავახეთის ქართული და არაქართული საჯარო სკოლების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის, არასამთავრობო ორგანიზაციის და ადგილობრივი მედია საშუალებების წარმომადგენლები.



ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ, მოკლედ ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა ისაუბრეს პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობისა და მიღებული გამოცდილების შესახებ:

ახალციხის N_1 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ნინო ნადირაძემ ისაუბრა, როგორც 2012 წლის პროგრამის ფარგლებში წლის საუკეთესო პედაგოგის ნომინაციაში გამარჯვებულმა პედაგოგმა, თუ რა სტიმული მისცა აღნიშნულმა წარმატებამ მომავალ საქმიანობაში.

სამოქალაქო კლუბის ინიციატივების ხელშეწყობაზე სოფელ არალის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა ეთერი კაკაჭაშვილმა და სოფელ სხვილისის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა საგუმე ამბარცუმინამა ისაუბრეს.

ამის შემდეგ სამოქალაქო კლუბებმა წარმოადგინეს საანგარიშო პერიოდში მიღწეული შედეგების პრეზენტაცია.

PH International-საქართველოს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის გრანტების მენეჯერმა - თამარ ფრუიძემ მოწვეულ სტუმრებს და გამომსვლელ 6 სამოქალაქო კლუბს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები, ხოლო ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ სამოქალაქო განათლების პედაგოგებსა და სამოქალაქო კლუბის წევრებს აქტიური თანამშრომლობისათვის სერთიფიკატები გადასცა.

სოციალური მედიის ტრენინგები



ახალციხის N_6, ვალის მე_2 და ჭობისხევის საჯარო სკოლებში ჩატარდა სოციალური მედიის ტრენინგი.

მოსწავლეებმა გაიგეს რა არის სოციალური მედია, მასმედია და მედია. აქტიურად ჩაერთვნენ ტრენინგის მსვლელობაში, დაარეგისტრირეს ბლოგები მათთვის სასურველ თემებზე. ტრენინგს ესწრებოდნენ ამავე საჯარო სკოლების სამოქალაქო განათლების მასწავლებლები, რომელმაც სამოქალაქო კლუბის ბლოგები შექმნეს იმ ღონისძიებების გასაშუქებლად, რომელსაც

სამოქალაქო კლუბები ანხორციელებენ.

სოციალური მედიის ტრენინგის მიზანია, საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უკეთ გაიგონ და შეისწავლონ ინტერნეტისა და სოციალური ქსელების სასარგებლოდ გამოყენება და სწრაფად მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია.

შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან

25 იანვარს ახალციხის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა შეხვედრა ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ოლეგ სანდროშვილსა და პროგრამაში ჩართული პარტნიორი სკოლების სამოქალაქო კლუბების ლიდერებს შორის.



შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა ბატონ ოლეგისათვის ახალციხის მუნიციპალიტეტში პროგრამის მუშაობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და სამომავლო თანამშრომლობის გზების დასახვა. თავდაპირველად პროგრამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს თავმჯდომარეს ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ გააცნო. აგრეთვე სამოქალაქო კლუბის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ბიუჯეტში მცირე გრანტების თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებული თანხისა და მისი გამოყენების შესაძლებლობებზე. სამოქალაქო კლუბის ლიდერებმა დეტალურად ისაუბრეს, მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე ახალგაზრდებს დეტალურად ესაუბრა მათ მიერ წამოჭრილ თითოეულ პრობლემაზე, განუმარტა ინფორმაცია საკრებულოს დელეგირებული უფლებების შესახებ და შესთავაზა მომდევნო შეხვედრა საკრებულოს ფუნქციის, მოვალეობებისა და უფლებების გასაცნობად. ახალგაზრდებმა წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების მოსაგვარებლად ერთობლივად უნდა შეიმუშაონ პროექტები იმ თანხების ფარგლებში, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად.

დასასრულს საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო კლუბის ლიდერებს გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისათვის და გამოთქვა სურვილი, რომ მსგავსი სახის შეხვედრები მოეწყოს პერიოდულად რ თვიანი ინტერვალით.

შეხვედრა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

ინტერვიუ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილესთან რატი ტატალაშვილთან



სოფელ არალის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრმა თეონა ნადირაძემ ინტერვიუ ჩაწერა ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელის მოადგილესთან რატი ტატალაშვილთან. მადლობა გადაუხადა იმ ღონისძიების მხარდაჭერისათვის, რომელიც შშმ. პირისათვის დახმარების სახით ნოუთბუქის გადაცემას გულისხმობდა.

რატი ტატალაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების დეფიციტია და ეს სწორედ ის პროგრამაა, რომელიც მოსწავლეებს უქმნის წინაპირობას, რომ გახდნენ საზოგადოების აქტიური წევრები და გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

ინტერვიუ სამოქალაქო განათლების მოწვევლებელთან ნინო ნადირაძესთან

ახალციხის N_1 საჯარო სკოლის მოწვევლებელმა მარი მიქელაძემ და თამარ გოგოლაურმა ინტერვიუ ჩაწერეს ამავე სკოლის სამოქალაქო კლუბის „ოცნებიდან რეალობამდე“-ს



ხელმძღვანელთან ქალბატონ ნინო ნადირაძესთან, რომელიც 2011 წელს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის მაშტაბით გამართულ კონკურსში „საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგის“ ნომინაციაში გამარჯვებულად დასახელდა. ინტერვიუს დროს მათ ისაუბრეს სკოლებში სამოქალაქო განათლების როლსა და მის მნიშვნელობაზე. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ სკოლაში სადაც ისწავლება სხვადასხვა საგანი აუცილებელია იყოს

სამოქალაქო განათლებაც, რადგან სამოქალაქო განათლება თავის თავში მოიცავს პიროვნების აღზრდას, ჩამოყალიბებასა და განათლებას. აგრეთვე ისაუბრეს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ საგნის მიმართ უკეთესი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად.

ინტერვიუში საუბარი იყო მცირე გრანტების პროგრამის შესახებ და იმ შესაძლებლობებზე, რომელსაც ეს პროგრამა აძლევს სკოლასა და მოწვევლებებს. ქალბატონმა ნინომ აღნიშნა: „ამ პროგრამამ მომცა ძალიან ბევრი პოზიტიური მუხტი, ენთუზიაზმი, რომ შეიძლება ყველაფერი გაკეთდეს მოხალისეობრივ საწყისებზე და დამამეგობრა ბევრ სამოქალაქო განათლების პედაგოგთან“. ინტერვიუს დასასრულს სამოქალაქო კლუბის წევრებმა ქალბატონ ნინო ნადირაძეს მადლობა გადაუხადეს საინტერესო საუბრისათვის.

ბლოგების კონკურსის გამარჯვებულთა დაჯილდოვება



28 თებერვალს, თბილისში, სასტუმრო „პრიმა ვერაში“ ბლოგების კონკურსში გამარჯვებული მოწვევლების დაჯილდოვება შედგა. კონკურსი 2012 წლის იანვარში გამოცხადდა და მასში მთელი საქართველოს მასშტაბით 120-მა მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასების მოწვევლემ მიიღო მონაწილეობა. წარმოდგენილი ბლოგები მოიცავდა შემდეგ თემებს: ახალგაზრდა მოხალისე, ახალგაზრდა ომბუდსმენი, ბუნების დამცველი, მოქალაქე ჟურნალისტი, ჯანსაღი ცხოვრების ადვოკატი, ახალგაზრდა

განმანათლებელი, სასკოლო სამოქალაქო კლუბის ბლოგი. პირველ ადგილზე გასულ კონკურსანტებს სერტიფიკატები და სამახსოვრო საჩუქრები ჟიურის საპატიო წევრებმა გადასცეს. ჟიურის წარმომადგენლები: ვახტანგ ასანიძე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო; ირაკლი კუცია, მშვიდობის კორპუსი; ნინო ერემაშვილი, სახალხო დამცველის აპარატი; ნატა სულთანაშვილი, გარემოს დაცვის სამინისტრო; მაია ქობალია, „ალიანსი საგზაო უსაფრთხოებისათვის“, ირაკლი კაკაბაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ნინო ბექაშვილი, ჟურნალი „ლიბერალი“. სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან ბუნების დამცველის ნომინაციაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი ჭაღიაშვილმა და მიშიკო ოქროპირიძემ. გიორგი ჭაღიაშვილმა აღნიშნა: „ბლოგების კონკურსის გამარჯვება ძალიან სასიხარულო იყო ჩემთვის, თუმცა პრიზიც ძალიან კარგი იყო რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით PHInternational-ს და Usaid-ს. მომავალში ვაპირებ ახალგაზრდობისთვის ჩემი ცოდნის გაზიარებას“.

კონკურსი ჩატარდა PH International-ის სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

კონფერენცია - „დავითიდან თამარამდე“

8 თებერვალს, არალის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით ქალაქ ბორჯომის N_3 საჯარო სკოლაში გაიმართა კონფერენცია თემაზე „დავითიდან თამარამდე“.



აღნიშნულ კონფერენციის პროგრამაში მონაწილეობა 8 სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრმა მიიღო . სულ შემოვიდა 35 თემა, საიდანაც ჟიურის მიერ შერჩეული იქნა 12 თემა .

კონფერენცია არალის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა თამთა ბათმანაშვილმა და თეონა ნადირაძემ გახსნეს. მათ მოწვეულ სტუმრებს გააცნეს, თუ რატომ აირჩიეს კონკრეტული თემა და რა იყო მათი მიზანი.

კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომების შემდეგ კომპეტენტური ჟიურის მიერ შეფასდა პრეზენტაციები, თემები და გამოიკვეთა სამი რჩეული ნაშრომი: რველის საჯარო სკოლის, არალის საჯარო სკოლისა და ბორჯომის N_3 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მიერ შესრულებული ნაშრომები. აღნიშნული სკოლის სამოქალაქო კლუბებს წიგნიერების დონის ამაღლების მიზნით საკითხავი ლიტერატურა, ხოლო კონფერენციაში მონაწილეობისათვის ყველა პრეზენტატორს სერთიფიკატები გადაეცათ.

კონფერენცია მიზნად ისახავდა საკლუბო ინიციატივების ხელშეწყობას, პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა სამოქალაქო კლუბების გაცნობასა და დამეგობრებას.

აღნიშნული ღონისძიება გაშუქდა ტელე-რადიო კომპანია „მე-9 არხით“.

ვიზიტი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში

ერთიანი ეროვნული გამოცდების მოახლოებასთან ერთად მომავალი აბიტურიენტების ძირითად საზრუნავს სასწავლებელისა და ფაკულტეტების არჩევა წარმოადგენს.



1 და 13 მარტს სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რეგიონის მასშტაბით სკოლებიდან სამოქალაქო კლუბის წევრები (მომავალი აბიტურიენტები) შეხვდნენ სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ მერაბ ბერიძესა და უნივერსიტეტში არსებული ფაკულტეტების წარმომადგენლებს. ეს შეხვედრა მოეწყო, როგორც ახალციხეში ასევე ახალქალაქში უნივერსიტეტის ბაზაზე. შეხვედრა მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა აბიტურიენტთათვის, რადგან მათ თითოეული ფაკულტეტის წარმომადგენელმა დეტალურად გააცნო უნივერსიტეტში მიმდინარე სიახლეები, ფაკულტეტებზე მისაღები კონტიგენტის რაოდენობა, თითოეულ ფაკულტეტზე ჩასაბარებელი საგნების ნუსხა, ინფორმაცია გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების შესახებ. აბიტურიენტებმა დასვეს კითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე და მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია.



ვიზიტი გაშუქდა ადგილობრივი პრესითა და ტელევიზიით.

ღია გაკვეთილი სხვილისის საჯარო სკოლაში



ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისის (არაქართულენოვან) საჯარო სკოლაში, სამოქალაქო კლუბის ხელმძღვანელმა, საგუმე ამბარცუმინმა მე-11 კლასში ღია გაკვეთილი ჩაატარა თემაზე - „დავით აღმაშენებელი და ჯვაროსნული ომები“. აღნიშნული ომის თემა განხილული იყო სამოქალაქო ჭრილში. გაკვეთილის ხარისხიანად ჩატარების მიზნით გამოყენებული იყო სლაიდ შოუ, ნახატები და რუქები.

საკლასო ორგანიზაციის მოდელი წარმოადგენდა ჯგუფურ მუშაობას.

აღნიშნული ღია გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლეებს ემსჯელათ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო აქტივობებზე, რეფორმებზე, ინფორმაცია მიეღოთ დავით აღმაშენებელზე, მის ეპოქაზე და ემსჯელათ თუ რა რეფორმების გატარება შეიძლება ძველიდან თანამედროვე ეპოქაში.

გაკვეთილს ესწრებოდნენ სხვადასხვა სკოლის ისტორიისა, სამოქალაქო განათლების პედაგოგები და სხვილისის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია .

ტრენინგი თემაზე „ლეიკემია“



უდის N_2 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ლიდერებმა 15 თებერვალს ლეიკემიით დაავადებულთა დღის აღსანიშნავად დაგეგმეს ტრენინგი თემაზე „ლეიკემია“. ახალციხის ახალგაზრდულ ცენტრთან თანამშრომლობით დაამზადეს საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც აღნიშნული იყო საქართველოში ლეიკემიით დაავადებულთა რაოდენობა და ზოგადი ინფორმაცია დაავადების შესახებ.

აღნიშნულ ტრენინგზე სოფლის ექიმი ქალბატონი მაკა მამუკაშვილი მოიწვიეს. ტრენინგს ესწრებოდნენ ამავე სკოლის ბიოლოგიისა და ქიმიის პედაგოგი ქალბატონი ლილი გიქოშვილი და სამოქალაქო კლუბის მენტორი ქალბატონი თინათინ თათოშვილი.

შეხვედრა სამოქალაქო კლუბის წევრებმა ქეთი აფრიაშვილმა და რიტა პარუნაშვილმა გახსნეს. ტრენინგის მსვლელობისას აქტიურად ჩაერთო ქალბატონი მაკა, რომელმაც განავრცო თემა. მოსწავლეებმა დასვეს თემის ირგვლივ კითხვები, რომლებზეც პასუხი ამომწურავად მიიღეს. ინფორმაციულობის გაზრდის მიზნით ქალბატონმა მაკამ მოსწავლეებს გადასცა ცნობარი- "ლეიკემიის მოკლე აღწერა".

საქართველოს კონსტიტუციის გაცნობა ახალქალაქის (სომხურენოვან) სკოლაში

ახალქალაქის N_4 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით „საქართველოს კონსტიტუციის“ თემაზე ღონისძიება ჩატარდა. სამოქალაქო განათლების პედაგოგის ჰასმიკ ღრმაჯიანის ორგანიზებით, სამოქალაქო კლუბის წევრები გაეცნენ საქართველოს კონსტიტუციას. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ ღონისძიებაში, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმით მიმდინარეობდა. გაკეთდა სავარჯიშოები და ჯგუფური განხილვა, სადაც მოსწავლეებს წარმოდგენილი ჰქონდათ თავიანთი თავი მომავალ იურისტებად.



აღნიშნული ღონისძიება გულისხმობდა არაქართულ (სომხურ) საჯარო სკოლაში საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციის გაცნობასა და იმის გააზრებას თუ რამდენად ერგება აღნიშნული კონსტიტუცია ჩვენს ქვეყანას.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ახალქალაქის N_4 საჯარო სკოლის მოსწავლეები, დირექცია და მშობლები.

„მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი“

26 თებერვალს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი პირველად ესტუმრა სოფელ აწყვიტას. სპექტაკლით სახელწოდებით, „ღმერთო დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები“. სპექტაკლი ადამიანთა ურთიერთობებს და სტერეოტიპების დამსხვრევას ეხებოდა, რომელსაც ერთი ადამიანი ეწირება. სპექტაკლის დასრულების შემდეგ



აღნიშნული თემა სამოქალაქო კლუბის დისკუსიის საგნად იქცა.

სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, კლუბის მეურვე პედაგოგმა ზეინაზ ივანიძემ და სამოქალაქო კლუბის წევრებმა იმსჯელეს პიესაზე. როგორც მოსწავლეები აღნიშნავენ, მათ განივითარეს მაცურებელთათვის საჭირო კულტურა, ემოციებისა და განწყობების გამოხატვის ეტიკა, მიიღეს ცოდნა როლის მორგებისა და განსახიერების შესახებ.



ეს შეხვედრა მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ პირველი სპექტაკლი აღმოჩნდა სოფელ აწყვიტის მოსახლეობისათვის და სამოქალაქო კლუბის წევრებიც მაცურებლის როლში პირველად აღმოჩნდნენ. კლუბის წევრები შეხვდნენ მესხეთის თეატრის დამსახურებულ და ახალბედა მსახიობებსა და ახლოს გაიცნეს ისინი.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ სოფელსა და სკოლას არ აქვს თეატრისათვის საჭირო გარემო, სადაც მაცურებლებლებიც და მსახიობებიც თავს კომფორტულად იგრძნობენ.

„არაჯანსაღი ცხოვრების წესი და ალკოჰოლი“

ასპინძის მუნიციპალიტეტში, სოფელ აწყვიტის საჯარო სკოლაში კლუბ „პრესტიჟი“-ს ინიციატივით ჩატარდა ღონისძიება „არაჯანსაღი ცხოვრების წესი და ალკოჰოლი“. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სოფელ აწყვიტაში მცხოვრები ალკოჰოლზე დამოკიდებული ადამიანები, ასევე ბატონი ამირან ივანიძე, რომელმაც ალკოჰოლზე უარი თქვა და არაჯანსაღ ცხოვრებას ებრძვის.



მან მოსწავლეებს გააცნო თავისი „არაჯანსაღი ცხოვრების პერიოდი“, პრობლემები რომლებიც მას თან ერთო. იგი წუხს, რომ დაკარგა ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები, ამაცობს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესს დაუბრუნდა.

ანალოგიური ტრენინგი ჩატარდა ნინოწმინდის მუნიციპალიტეტ სოფელ დიდ კონდურაში სახელწოდებით „მოწევა კლავს“.

ტრენინგზე განხილული იყო თამბაქოს შესახებ სხვადასხვა საკითხები.

გაიმართა დისკუსია აღნიშნული თემის ირგვლივ. დისკუსიაში აქტიურად ჩაებნენ თემის სხვა წარმომადგენლებიც.

როგორც კლუბის წევრები აღნიშნავენ განივითარეს, მსჯელობისა და მოსმენის უნარი.

გამარჯვებული გრანტის პრეზენტაცია აზავრეთის საჯარო სკოლაში



აზავრეთის საჯარო სკოლაში გაიმართა გამარჯვებული გრანტის პრეზენტაცია მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, რომლის მიზანი იყო მშობლების, მასწავლებლების, მოსწავლეებისა და სკოლის ადმინისტრაციის ინფორმირებულობა გრანტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა და შესყიდვების შესახებ. პრეზენტაციამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩაიარა. პროექტის ხელმძღვანელმა როზა თამამიანმა დამსწრე საზოგადოებას დეტალურად გააცნო პროექტის მიზნები და ამოცანები. მან აღნიშნა, რომ „ვინაიდან პროექტის მიზანია ახალგაზრდები უკეთ გაეცნონ საქართველოს კანონმდებლობას, მის მოწყობის სტრუქტურასა და ფუნქციებს, ამიტომ აქტიურად ითანამშრომლებენ სამართალდამცავ და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან“. შეხვედრის შედეგად კლუბის წევრები, სკოლის მოსწავლეები და მშობლები მიიღებენ სათანადო იმფორმაციასა და ცოდნას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

შეხვედრას ესწრებოდა ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელი.

ქალთა საერთაშორისო დღე სხვილისის სამოქალაქო კლუბის წევრებმა სოფლის უხუცეს ქალბატონებს მიულოცეს



სხვილისის სამოქალაქო კლუბმა „სამშობლომ“ სხვილისის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგისა და სამოქალაქო კლუბ „სამშობლოს“ მენტორის საგუმე ამბარცუმინის ხელშეწყობით 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად სხვილისის თემში მოიძია ის ქალბატონები, რომლებსაც დამსახურება აქვთ სოფლის საზოგადოების სამოქალაქო ცხოვრებაში და სიმბოლურად ყვავილები გადასცეს

საჩუქრად.

„საკმაოდ სასიამოვნო აღმოჩნდა ახალგაზრდების ინიციატივა და ის ფაქტი, რომ ვიღაცას ახსოვს დამსახურებული ქალბატონები და აფასებს მათ ღვაწლს“ - აღნიშნავს ტერეზა აკოფიანი, (ყოფილი პედაგოგი), რომელიც სხვილის საჯარო სკოლაში 30 წელი ასწავლიდა ისტორიას.

კლუბის ინიციატივით ამ დღეს სოფელ სხვილისის 25-მა ქალბატონმა მიიღო სასიამოვნო საჩუქარი .

„თემის პრობლემის მოგვარება განხორციელება“



სოფ. ვარხანის სამოქალაქო კლუბ „ერთობის“ წევრები და ხელმძღვანელი შეხვდნენ სოფლის გამგებელს, ტარიელ მსხვილიძეს და წარუდგინეს კლუბის ინიციატივა, შემოეღობათ სოფლის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია. მათ ბატონმა ტარიელმა დახმარება აღუთქვა და შესთავაზა ეს საკითხი გაზაფხულის დადგომისთანავე განეხილათ.

21 მარტს სოფ. ვარხანის სამოქალაქო კლუბი „ერთობა“ მისი ხელმძღვანელი ნონა გუბელაძე და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორი მარინე სუდაძე ესტუმრნენ სოფლის გამგებელს. მან უკვე შემუშავებული პროექტი და ბიუჯეტი წარუდგინა კლუბის წევრებს, პედაგოგსა და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელს. საჭირო მასალა მოითხოვდა საკმაოდ დიდ ფინანსებს, რისი რესურსიც არ ჰქონდა ადგილობრივ თვითმმართველობის ბიუჯეტს და ვერც ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი შესთავაზებდა, ამიტომ მოლაპარაკების გზით გადაწყდა, რომ სოფლის სასაფლაოსათვის გამგებელი და ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი ერთობლივად დაამზადებინებენ სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიისათვის შესასვლელ კარებს.

როგორც ქალბატონი მარინე სუდაძე და ბატონი ტარიელ მსხვილიძე აღნიშნავენ, აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაწყებულია და აპრილის ბოლოსათვის დასრულდება.

„მეტყევის საერთაშორისო დღე“



21 მარტს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალდაბის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ნინო ღონღაძის ორგანიზებით, სამოქალაქო კლუბმა „მეტყევის საერთაშორისო დღეს“ საპატიო სტუმრებს უმასპინძლა.

შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლები, სოფელ ახალდაბაში მცხოვრები ღვაწლმოსილი მეცნიერ-მუშაკი და სატყეო მეურნეობის

რეინჯერები.

სამოქალაქო კლუბის წევრებმა მოწვეულ სტუმრებს წარუდგინეს თემები „ტყე და ბუნება“.

წარმოდგენილი თემების შემდეგ, სამოქალაქო კლუბის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს შორის გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

სპეციალურად „მეტყევის დღესთან“ დაკავშირებით, ახალდაბის სამოქალაქო კლუბის მეურვემ ნინო ღონღაძემ სტუმრებისათვის მოამზადა მადლობის ფურცელი, რომელიც მოწვეულ სტუმრებს ბუნების მოვლის საქმეში თეორიული და პრაქტიკული დამსახურებებისათვის გადასცა.

ღონისძიების ბოლოს, სამოქალაქო კლუბის წევრები სოფელ ახალდაბის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს ალექსი ლომიძეს შეხვედნენ. განიხილეს სოფლის წყაროს დასუფთავების საკითხი და დაიგეგმა სოფლის რწმუნებულთან ერთად ერთობლივი აქცია, რომელიც გვიან გაზაფხულზე განხორციელდება და წყაროს დასუფთავებასა და მწვანე ნარგავებით გალამაზებას გულისხმობს.

„ დედამიწის საათი და წყლის საერთაშორისო დღე“

დაბა აბასთუნის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა განახორციელეს კონფერენცია



თემაზე „დედამიწის და წყლის საათი“. კლუბის წევრებმა ერთი კვირის განმავლობაში დაამუშავეს ინფორმაცია და თანატოლებს წარუდგინეს თემების სახით. თემებში აღნიშნული იყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გავუფრთხილდეთ დედამიწის მიერ გაღებულ რესურსებს, რადგან ეს რესურსები დედამიწაზე გამოლევადა.

კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ აქციები წყლისა და დედამიწის საათთან დაკავშირებით, გარემოს დაცვით საკითხებზე მოსახლეობის განათლების დონის ასამაღლებლად ტარდება. თემების წარმდგენებს გიორგი გაბოშვილსა და ნინო დემეტრაძეს მომზადებული ჰქონდათ სლაიდ შოუ, რომელიც ასახავდა სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოწყობილ აქციებს აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით. მონაწილეებმა დამსწრე თანატოლებსა და პედაგოგებს მოუწოდეს, რომ წელსაც ტრადიციულად მარტის თვეში, კერძოდ 23 მარტს, ერთი საათით გამორთონ ელექტრო ენერჯია და გახდნენ აქციის მონაწილენი.

„პიროვნება, ალკოჰოლი, სიგარეტი“

19 მარტს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მუსიკალური სკოლის დარბაზში, რველის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში წარმოადგინა ღონისძიება „პიროვნება, ალკოჰოლი, სიგარეტი“. კლუბის წევრებმა ისაუბრეს პიროვნების განვითარების ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებზე, აგრეთვე სიგარეტისა და ალკოჰოლის მავნებლობაზე.



ახალგაზრდებმა ღონისძიებაზე ასევე განიხილეს ისეთი აქტუალური თემა, როგორცაა დონორობა. ვინაიდან დონორობა მხოლოდ ჯანმრთელ ადამიანს შეუძლია, ამიტომ მოზარდებმა მოუწოდეს თანატოლებს, რომ სიგარეტზე და ალკოჰოლზე უარის თქმით შეძლებენ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ სხვისი სიცოცხლის გადარჩენასაც. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქ ბორჯომის საჯარო სკოლების სამოქალაქო კლუბების წევრები, პედაგოგები, ახალგაზრდული ცენტრისა და PH internationalis წარმომადგენლები.

ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

„მრავალ არიან წოდებულ, მცირედნი რჩეულნი“

„საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევიტყვე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუწებურად მოგვიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და დავიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი, შემოწირულით აღარ ვჯერდებოდი. საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე. სხვადასხვა კუთხეში მიმოწერა გავაჩაღე, აგენტები გავიჩინე - ექვთიმე თაყაიშვილი“.



2013 წელი იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის წელად გამოაცხადა. ახალციხის N_6 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „დისპერსიის“

წევრებმა ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი სადამო გამართეს ახალციხის მუნიციპალიტეტის დარბაზში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქალაქის ექვსი სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრები, პედაგოგები, მშობლები, გამგეობის კულტურის განყოფილებისა და სამცხე-ჯავახეთის მუზეუმის წარმომადგენლები. მოსწავლეებმა ყურადღება გაამახვილეს მისი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრის, უდიდეს პასუხისმგებლობის ხარისხზე და თავდადებაზე.

კლუბმა ახალგაზრდული ცენტრის მხარდაჭერით დაამზდა ბანერი, რომელიც უმოკლეს ხანში განთავსდება ქალაქის ცენტრში საკრებულოს გადაწყვეტილებით მითითებულ ადგილზე.

პროფესორმა ნატო ყრუაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ როცა მოსწავლეები აფასებენ მნიშვნელოვან მოვლენებს და მუშაობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე, ეს იმის მანიშნებელია, რომ ქვეყნის მომავალი საიმედო ხელშია.

ღონისძიება გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

სამოქალაქო კლუბის წევრები სტუმრად „ დიალოგში“

21 მარტს საქართველოში ქართული ჟურნალისტიკის დღე აღინიშნა. ამ დღსთან დაკავშირებით ტელეკომპანია „მე-9 არხმა“ ყოველკვირეულ გადაცემა „დიალოგში“ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „ახალგაზრდა ჟურნალისტის“ საპროექტო ჯგუფის წევრები მიიწვია, სადაც ახალგაზრდებმა დეტალურად ისაუბრეს პროექტის მიზნებისა და განხორციელების გზებზე. პროექტის მიზნის მისაღწევად დაგეგმილია და ხორციელდება ერთობლივი თანამშრომლობა ახალციხის „მე-9 არხი“-ს ადგილობრივ ტელევიზიასთან. სულ მომზადდება 5 სიუჟეტი და გაშუქდება ადგილობრივი ტელევიზიით:

1. როგორ მუშაობს მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლებში და რა ზომებს იღებს სკოლაში არსებული პრობლემების პრევენციისათვის;
2. ახალგაზრდებს შორის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია (თამბაქო ,ალკოჰოლი);
3. გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა;
4. ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება/ადგოვანება ახალგაზრდების მიერ;

მე-5 სიუჟეტი - "როგორ აგვარებს სკოლა ან თემი პრობლემას ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობით" - ნაჩვენები იქნება დასკვით ღონისძიებაზე, სადაც დაესწრება ადგილობრივი თვითმმართველობა და ახალგაზრდული ცენტრი. შეიძლება ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად მოგვარდეს რაიმე პრობლემაც.

როგორც ადგილობრივი ტელევიზიის, ასევე ახალციხის N_1 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა აღნიშნეს, როგორც თავად პროექტი ასევე პროექტის განხორციელების პროცესი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს. ტელევიზიისა და საპროექტო ჯგუფის წევრებმა ბევრი რამის სწავლა მოახერხეს ერთმანეთისაგან. მსგავსი სახის პროექტების დაფინანსება და განხორციელება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურებასა და ჩართვას საერთო პრობლემების მოძიებისა და მოგვარების პროცესში, რადგან ქალაქში გამოსულები უკვე სხვა თვალით უყურებენ მიმდინარე პროცესებს.

ორივე მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ თანამშრომლობა გაგრძელდეს პროექტის დასრულების შემდეგაც.

ქალაქ ახალციხეში „დედამიწის საათი“ აღინიშნა

22 მარტს, ახალციხის N2 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგმა და სამოქალაქო კლუბის მეურვემ მანანა დათებაშვილმა, სამოქალაქო კლუბის წევრებთან ერთად ინფორმაციული



ლონისძიება მოაწყო თემაზე „დედამიწის საათი“.

ლონისძიებაზე სამოქალაქო კლუბის წევრებმა მოწვეულ სტუმრებსა და თანატოლებს გააცნეს თემატური სლაიდები, დედამიწის გარსის, მისი მნიშვნელობისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. ისაუბრეს იმის შესახებ, რაც დედამიწის სიმდიდრედ ითვლება,



საქართველოში არსებული ბუნებრივი სიმდიდრესა და დაცული ტერიტორიებზე. ისაუბრეს ასევე „დედამიწის საათზე“, რომელიც გარემოს დაცვის აქციად 60 წუთით და უფრო მეტით (რაც მიმატების ნიშნით აღინიშნება) ელექტრო ენერჯის გათიშვას გულისხმობს.

აქციის ფარგლებში, 23 მარტს, ახალციხის ახალგაზრდულმა ცენტრმა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის საფუძველზე, შეათანხმა ელექტრო ენერჯის გათიშვა 21:00-საათიდან 21:30-საათამდე ცენტრალურ სკვერში. ღონისძიებას შეუერთდნენ ადგილობრივი მაცხოვრებლები, თვითმმართველობა და მედია.

საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით „ყველაფერი კარგად იქნება“

28 მარტს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურის საჯარო სკოლის სამოქალაქო



კლუბის ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის ხელშეწყობით, დიაბეტით დაავადებულ მოსწავლეთა დასახმარებლად გაიმართა საქველმოქმედო აქცია სახელწოდებით „ყველაფერი კარგად იქნება“.

აწყურის სამოქალაქო კლუბის წევრებმა საქველმოქმედო აქცია დიაბეტით დაავადებულ VIII კლასელ ანა სირაძისა და IV კლასელ ნინო მახათაძის დასახმარებლად მოაწყვეს, რასაც ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და

მშობლები ამოუდგნენ მხარში.

საქველმოქმედო აქციაზე დასწრება ფასიანი იყო. სამოქალაქო კლუბის წევრებმა ბილეთის ფასად სიმბოლური თანხა 50 თეთრი დაადგინეს. შემოსული თანხის რაოდენობამ 200 ლარი შეადგინა. დასასრულს, სკოლის დირექტორმა ქეთევან დუგლაძემ მადლობა გადაუხადა სამოქალაქო კლუბს-გააქტიურებისათვის, სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და თემს საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობისა და წვლილის შეტანისათვის.

ახალციხის ახალგაზრდული ცენტრის დირექტორმა მარინე სუდაძემ სამოქალაქო კლუბს საქველმოქმედო აქციის დაგეგმვასა და წარმოდგენისათვის „მადლიერების სერთიფიკატი“ გადასცა.

„ბუნების დაცვის კვირეული“



18 მარტიდან 22 მარტის ჩათვლით, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების პედაგოგის ლევან დევიძის ორგანიზებით და სამოქალაქო კლუბ „წაღვერის“ ერთობლივი ინიციატივით, დაბა წაღვერში „ბუნების დაცვის კვირეული“ აღინიშნა, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობა, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები და „ეკო კლუბის“ წევრები მონაწილეობდნენ.

სამოქალაქო კლუბ „წაღვერი“-ის წევრებმა მოიძიეს ინფორმაცია ბუნების დაცვის დღეებთან დაკავშირებით, მოამზადეს საინფორმაციო პლაკატები, შემდგომ ამისა, წაღვერის საჯარო სკოლაში გაიმართა ინფორმაციული შეხვედრა საზოგადოებასთან. კლუბის წევრებმა წარადგინეს პრეზენტაციები ბუნების დაცვის შესახებ.



ღონისძიებას დაბა წაღვერის რწმუნებული იოსებ გოგოლაძე ესწრებოდა, რომელსაც სამოქალაქო კლუბის წევრებმა 21 მარტს დაგეგმილ დასუფთავების აქციაზე ხელშეწყობა სთხოვეს, რაც გულისხმობდა შეგროვებული ნარჩენების ორგანიზებულ გატანას.

19 მარტს, სოფელ წაღვერში თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა საინფორმაციო პლაკატები, რათა წაღვერის მოსახლეობა გაცნობოდა განსახორციელებელ ღონისძიებათა განრიგს.

20 მარტს, სამოქალაქო კლუბის წევრებმა გაეროს განვითარების პროგრამის „UNDP“-ს, ეკო კლუბების კოორდინატორს სამცხე-ჯავახეთში ეთერ ჭინჭარაძეს უმასპინძლეს, რომელსაც გააცნეს ორი საპრეზენტაციო თემა: „წყლის მსოფლიო დღე“ და „დედამიწის საათი“. პრეზენტაციის შემდეგ, განსახორციელებელი ღონისძიებების მსმენელთათვის გაცნობა, ფუნქციებისა და სამოქმედო გეგმის მიწოდება მოხდა. შეიქმნა ხუთ-ხუთ კაციანი ჯგუფები პედაგოგების ხელმძღვანელობით და თითოეულ მათგანისათვის განისაზღვრა კონკრეტული ტერიტორია, რომლის დასუფთავებაც ევალებოდათ.

21 მარტს, სამოქალაქო კლუბის წევრებმა, სხვა მოსწავლეებთან და ეკო კლუბის წევრებთან ერთად დაიწყეს დასუფთავების აქცია, რომელიც მოიცავდა სკოლის მიმდებარე ტერიტორიასა და სოფელ დაბიდან - სოფელ კეჩხოზამდე გზის მიმდებარე ტერიტორიებს. შეგროვებული ნარჩენების გატანა ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის რწმუნებულის იოსებ გოგოლაძის დახმარებით გამოყოფილი ტრანსპორტით და დასუფთავების სამსახურის მუშების უშუალო მონაწილეობით მოხდა.

„ბუნების დაცვის კვირეული“-ს ფარგლებში წაღვერის სამოქალაქო კლუბის დასკვნითი ღონისძიება 22 მარტს მოეწყო, რომელსაც სკოლის დირექციის წარმომადგენლები, სოფლის რწმუნებულები, ღონისძიებების მონაწილე პედაგოგები და მოსწავლეები ესწრებოდნენ. საბოლოოდ, დადებითად შეაფასეს განხორციელებული აქტივობები და დასახეს საერთო გეგმა სამომავლო ღონისძიებების პერმანენტულად განხორციელებისათვის.

“სახელმწიფო და მისი შინაგანი წესები”



22 მარტს, ახალციხის N-3 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა აზნივ ვირაბიანმა და სუზანნი ისპირიანმა, ამავე სკოლის VIII დან XII კლასის მოსწავლეებისათვის ტრენინგი დაგეგმეს თემაზე: “სახელმწიფო და მისი შინაგანი წესები”. ტრენინგის ორგანიზებაში ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი დაეხმარა. თემა წარმოადგინა სონია მალხასიანმა.

თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგი მიზნად ისახავდა არაქართულ (სომხურ) სკოლაში სახელმწიფოს მმართველობით სტრუქტურის გაცნობასა და სახელმწიფოში არსებული შინაგანი წესების შესახებ მსჯელობას.

დასასრულს, მოსწავლეებმა თავიანთი შთაბეჭდილებები გამოხატეს: „ჩვენ გავიგეთ, თუ რას ნიშნავს სახელმწიფო, როდის დაარსდა და რისთვის და სახელმწიფოტერიტორიული მოწყობის შესახებ. ტრენინგმა დიდი ცოდნა მოგვცა სახელმწიფოს ფორმების შესახებ“-აღნიშნავს ერთ-ერთი მოსწავლე.

ბავშვებმა მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდულ ცენტრს დახმარებისათვის და აღნიშნეს, რომ მოხარულები იქნებიან, თუ მომავალშიც გაგრძელდება ამ სახის ტრენინგები.

„დედამიწა გადარჩენას ითხოვს“



26 მარტს, ბოჯომის მუნიციპალიტეტში ბორჯომის N_4 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა, რომელშიც სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, დირექცია და თემის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ბორჯომის N_4 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბ „ლოგოსი“-ს ინიციატივით, სკოლის დირექციის, პედაგოგიური კოლექტივისა და თემის ხელშეწყობით სკოლის მიმდებარე ტერიტორია დასუფთავდა. აღნიშნულ ტერიტორიაზე დასუფთავდა და დაიბარა ეზოს ყვავილებისა და ნარგავების ადგილები, შეკეთდა ღობე, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების მიმდებარე ტერიტორიას იცავს.



აქციის მონაწილეებს დასუფთავების ინსტრუმენტები მიაწოდეს სკოლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და სკოლის ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ. სკოლის ეზოში სამოქალაქო კლუბის წევრებმა სტენდი გააკეთეს, სადაც საკუთარი ნახატები მოათავსეს, თემა დედამიწასა და ბუნების დაცვას ეხებოდა.

ვიზიტი ბორჯომის #2 ჩამოსხმელ ქარხანაში



სამოქალაქო კლუბის წევრებმა გამოთქვეს სურვილი ბორჯომის ჩამოსხმელი ქარხანა მოენახულებინათ. როგორც ქარხნის თანამშრომელმა აღნიშნა, მინერალური წყლის ისტორია და მისი ჩამოსხმის ტექნოლოგიები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს ახალგაზრდებში.

27 მარტს, სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რეგიონის მაშტაბით არსებული 17 სამოქალაქო კლუბის 60 წევრი ეწვია ბორჯომის N_2 ჩამოსხმელ ქარხანას. ქარხნის დირექტორის ადმინისტრაციულმა თანაშემწემ ქალბატონმა ნინო მიქელაძემ დაწვრილებით გააცნო მოსწავლეებს მინერალური წყლის ჩამოსხმის ტექნოლოგიები და მისი სამკურნალო თვისებები, დაესწრნენ ბორჯომის ჩამოსხმის პროცესს, რაც მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

სოფელ ვარხნის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მათე დარბაიძემ და ნათია გულიაშვილმა აღნიშნეს, რომ ვიზიტის დროს მოსმენილი ისტორია მინერალური წყლის შესახებ მეტად საინტერესო აღმოჩნდა.

ვიზიტი გაშუქდა სოციალური მედიის საშუალებით.

ბუკლეტი შექმნილია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში

ქ. ახალციხე, ახალციხის ახალგაზრდული ცენტრი, კოსტავას ქ. 79. ტელ: 0 (365) 22 08 77

Email: icyakhaltshikhe@yahoo.com ბლოგი: Akhaltshikheyouthcenter.wordpress.com